

კონფიდენციალურობის პოლიტიკა

ვებ-გვერდის მვირფასო სტუმარო,

მოხარულები ვართ, რომ დაინტერესდით ჩვენი კომპანიით. მონაცემთა დაცვა პროკრედიტ ბანკის მენეჯმენტის (საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 21, პროკრედიტ ბანკი; ელ-ფოსტა: info@procreditbank.ge) პრიორიტეტს წარმოადგენს. პროკრედიტ ბანკის ინტერნეტ გვერდების გამოყენება შესაძლებელია პირადი მონაცემების მითითების გარეშე; თუმცა, თუ მონაცემთა სუბიექტს სურს ჩვენი ვებ-გვერდის მეშვეობით სპეციალური სამეწარმეო მომსახურების მიღება, პერსონალური მონაცემების დამუშავება აუცილებელი იქნება. თუ პერსონალური მონაცემების დამუშავება აუცილებელია და ამგვარი დამუშავებისათვის საკანონმდებლო საფუძველი არ არსებობს, ჩვენ ზოგადად თანხმობას მოვიპოვებთ მონაცემთა სუბიექტისგან.

1. ქუქი-ფაილები

პროკრედიტ ბანკის ინტერნეტ გვერდები ქუქი-ფაილებს იყენებს. ქუქი-ფაილები არის პატარა ტექსტური ფაილები, რომლებსაც ბრაუზერი კომპიუტერულ სისტემაში ინახავს.

ბევრი ინტერნეტ გვერდი და სერვერი იყენებს ქუქი-ფაილებს. ბევრი ქუქი-ფაილი შეიცავს ე.წ. საიდენტიფიკაციო კოდს (ქუქი ID). ქუქი ID არის ქუქი-ფაილის უნიკალური იდენტიფიკატორი. ის შედგება სიმბოლოების ხაზისგან, რომლის მეშვეობითაც ინტერნეტ გვერდები და სერვერები იმ კონკრეტულ ბრაუზერს მიეკუთვნება, რომელშიც ქუქი-ფაილები ინახება. ეს მონახულებულ ინტერნეტ გვერდებსა და სერვერებს საშუალებას აძლევს მონაცემთა სუბიექტის ინდივიდუალური ბრაუზერი სხვა ქუქი-ფაილების შემცველი სხვა ბრაუზერისგან განასხვავოს. კონკრეტული ბრაუზერის ამოცნობა და იდენტიფიცირება შესაძლებელია უნიკალური ქუქი ID-ის მეშვეობით.

ქუქი-ფაილების გამოყენებით, პროკრედიტ ბანკს შეუძლია ვებ-გვერდის მომხმარებლებს ისეთი პრაქტიკული მომსახურებები გაუწიოს, რომელთა შესრულება ქუქი-ფაილების გამოყენების გარეშე შეუძლებელია.

ქუქი-ფაილების საშუალებით ხდება ჩვენს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციისა და შეთავაზებების მომხმარებელთან ოპტიმიზაცია. ქუქი-ფაილები საშუალებას გვაძლევს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოვავლინოთ ჩვენი ვებ-გვერდის მომხმარებლები. აღნიშნულის მიზანი ის არის, რომ მომხმარებლებმა მარტივად გამოიყენონ ვებ-გვერდი. ვებ-გვერდის მომხმარებელს, რომელიც ქუქი-ფაილებს იყენებს, ვებ-გვერდზე ყოველი შესვლისას არ შეჰყავს ავტორიზაციისთვის საჭირო მონაცემები, რადგან ამას ვებ-გვერდი თავად ახორციელებს. ამიტომ ინახება ქუქი-ფაილი მომხმარებლის კომპიუტერულ სისტემაში.

მონაცემთა სუბიექტს ნებისმიერ დროს შეუძლია შეაჩეროს ჩვენს ვებ-გვერდზე ქუქი-ფაილების გამოყენება უკვე გამოყენებული ბრაუზერის შესაბამისად დაყენებით და ამ გზით, სამუდამოდ უარი თქვას ქუქი-ფაილების დაყენებაზე. ამასთან, უკვე დაყენებული ქუქი-ფაილები შეიძლება ნებისმიერ დროს წაიშალოს ვებ-ბრაუზერის ან სხვა პროგრამების მეშვეობით. ეს შესაძლებელია ყველა პოპულარულ ვებ-ბრაუზერში. თუ მონაცემთა სუბიექტი გამოყენებულ ბრაუზერში ქუქი-ფაილების პარამეტრებს გათიშავს, ჩვენი ვებ-გვერდის ყველა ფუნქციით სრულყოფილად ვერ ისარგებლებს.

2. ზოგადი მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება

პროკრედიტ ბანკის ვებ-გვერდი ზოგად მონაცემებსა და ინფორმაციას აგროვებს, როდესაც მონაცემთა სუბიექტი ან ავტომატიზირებული სისტემა ვებ-გვერდს იძახებს. ეს ზოგადი მონაცემები და ინფორმაცია სერვერის ლოგ ფაილებში ინახება. გროვდება შემდეგი სახის მონაცემები და ინფორმაცია: (1) გამოყენებული ბრაუზერის ტიპი და ვერსიები; (2) დარეგისტრირებული სისტემის მიერ გამოყენებული საოპერაციო სისტემა; (3) ვებ-გვერდი, საიდანაც დარეგისტრირებული სისტემა შედის ჩვენს ვებ-გვერდზე (ე.წ. რეფერერები); (4) ქვე-გვერდები; (5) ვებ-გვერდზე შესვლის თარიღი და დრო; (6) ინტერნეტ პროტოკოლის მისამართი (IP მისამართი); (7) დარეგისტრირებული სისტემის ინტერნეტ მომსახურების პროვაიდერი; და (8) ნებისმიერი სხვა მსგავსი მონაცემები და ინფორმაცია, რომელიც ჩვენს საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებზე თავდასხმების შემთხვევაში გამოიყენება.

ამ ზოგადი მონაცემებისა და ინფორმაციის გამოყენებისას, პროკრედიტ ბანკის მიზანი მონაცემთა სუბიექტის შესახებ დასკვნების გაკეთება არ არის. ეს ინფორმაცია საჭიროა: (1) ჩვენი ვებ-გვერდის შინაარსის სწორად გადმოცემისთვის; (2) ჩვენი ვებ-გვერდის შინაარსის, ასევე მისი რეკლამირების ოპტიმიზაციისთვის; (3) ჩვენი საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების და ვებ-გვერდის ტექნოლოგიის ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად; და (4) კიბერ-თავდასხმის შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. აქედან გამომდინარე, პროკრედიტ ბანკი სტატისტიკურად ანალიზებს ანონიმურად შეგროვებულ მონაცემებსა და ინფორმაციას, ჩვენი კომპანიის მონაცემების დაცვისა და მონაცემთა უსაფრთხოების გაზრდის, ასევე ჩვენს მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის ოპტიმალური დონის უზრუნველყოფის მიზნით. სერვერის ლოგ ფაილების ანონიმური მონაცემები მონაცემთა სუბიექტის მიერ მოწოდებული პირადი მონაცემებისგან ცალკე ინახება.

3. მონაცემთა დაცვის დებულებები Google Analytics-ის (ანონიმურობის დაცვის ფუნქციით) გამოყენების შესახებ

ამ ვებ-გვერდზე პროკრედიტ ბანკმა Google Analytics-ის კომპონენტი (ანონიმურობის დაცვის ფუნქციით) ჩართო. Google Analytics არის ვებ-ანალიზის მომსახურება. ვებ-ანალიზი არის ვებ-გვერდების მნახველთა ქცევის შესახებ მონაცემების მოძიება, შეგროვება და ანალიზი. ვებ-ანალიზის მომსახურება, სხვათა შორის, მოიცავს იმ ვებ-გვერდის შესახებ მონაცემების შეგროვებას, საიდანაც მნახველი შემოვიდა (ე.წ. რეფერერი), ასევე ინფორმაციის შეგროვებას იმის შესახებ, თუ რომელი ქვე-გვერდების მონახულება მოხდა ან რამდენად ხშირად და რა ხანგრძლივობით მოხდა ქვე-გვერდის მონახულება. ვებ-ანალიზი ძირითადად გამოიყენება ვებ-გვერდის ოპტიმიზაციისა და ინტერნეტ რეკლამის მოგება-ზარალის ანალიზის განსახორციელებლად.

Google Analytics კომპონენტის ოპერატორი არის Google Inc., 1600 Amphitheatre Pkwy, Mountain View, CA 94043-1351, შეერთებული შტატები.

Google Analytics-ის მეშვეობით ვებ-გვერდის ანალიზისთვის მონაცემების დამმუშავებელი იყენებს "_gat._anonymizeIp" აპლიკაციას. ამ აპლიკაციის საშუალებით, Google ამოკლებს

მონაცემთა სუბიექტის ინტერნეტ კავშირის IP მისამართს და ანონიმურს ხდის ჩვენს ვებ-გვერდებზე შემოსვლის დროს.

Google Analytics კომპონენტის მიზანია ვებ-გვერდზე არსებული ტრაფიკის ანალიზი. Google შეგროვილ მონაცემებსა და ინფორმაციას იყენებს, მათ შორის, ჩვენი ვებ-გვერდის გამოყენების შესაფასებლად და ონლაინ ანგარიშების უზრუნველსაყოფად, სადაც ნაჩვენებია ჩვენს ვებ-გვერდებზე განხორციელებული აქტივობები, ასევე ჩვენი ინტერნეტ საიტის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებების გასაწევად.

Google Analytics კომპონენტი ქუქი-ფაილს მონაცემთა სუბიექტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემაში ათავსებს. ქუქი-ფაილების განმარტება ზემოთ არის მოცემული. ქუქი-ფაილები Google-ს ჩვენი ვებ-გვერდის გამოყენების ანალიზის საშუალებას აძლევს. ამ ინტერნეტ საიტის ერთ-ერთი ცალკეული გვერდის ყოველ გამოძახებაზე, მონაცემთა სუბიექტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემაზე დაყენებული ინტერნეტ ბრაუზერი ავტომატურად გადასცემს მონაცემებს Google Analytics კომპონენტის საშუალებით, ონლაინ რეკლამირებისა და Google-სთვის საკომისიოს გადახდის მიზნით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ტექნიკური პროცედურის მიმდინარეობისას, კომპანიისთვის, Google-სთვის, ცნობილი ხდება ისეთი ინფორმაცია, როგორცაა მონაცემთა სუბიექტის (შემოკლებული) IP მისამართი, რომელიც Google-ს ეხმარება, სხვათა შორის, ვიზიტორების წარმოშობის (ქვეყანა, რეგიონი, ქალაქი) შესახებ ინფორმაციის მიღებაში.

ქუქი-ფაილები ისეთი ინფორმაციის შესანახად გამოიყენება, როგორცაა მონაცემთა სუბიექტის ჩვენს ვებ-გვერდზე შესვლის დრო; მდებარეობა, საიდანაც შესვლა განხორციელდა; და შესვლის სიხშირე. ჩვენს ვებ-გვერდზე ყოველი შესვლისას, ასეთი მონაცემები, მათ შორის მონაცემთა სუბიექტის მიერ გამოყენებული (შემოკლებული) IP მისამართი, გადაეცემა Google-ს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ მონაცემებს Google ინახავს ამერიკის შეერთებულ შტატებში. Google-ს უფლება აქვს ტექნიკური პროცედურის საშუალებით შეგროვებული ეს მონაცემები მესამე პირებს გადასცეს.

მონაცემთა სუბიექტს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნებისმიერ დროს შეუძლია შეაჩეროს ჩვენს ვებ-გვერდზე ქუქი-ფაილების გამოყენება უკვე გამოყენებული ბრაუზერის შესაბამისად დაყენებით და ამ გზით, სამუდამოდ უარი თქვას ქუქი-ფაილების დაყენებაზე. გამოყენებული ბრაუზერის დაყენება ასევე აღკვეთს Google Analytics-ის მიერ ქუქი-ფაილების დაყენებას მონაცემთა სუბიექტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემაზე. ამასთან, Google Analytics-ის მიერ უკვე გამოყენებული ქუქი-ფაილები შეიძლება ნებისმიერ დროს წაიშალოს ვებ-ბრაუზერის ან სხვა პროგრამების მეშვეობით.

გარდა ამისა, მონაცემთა სუბიექტს შეუძლია უარი თქვას Google Analytics-ის მიერ გენერირებული აღნიშნული ვებ-გვერდის გამოყენებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებაზე, ასევე Google-ის მიერ ამ მონაცემების დამუშავებაზე. ამ მიზნით, მონაცემთა სუბიექტმა ბრაუზერის დამატებითი კომპონენტი უნდა ჩამოტვირთოს ბმულიდან: <https://tools.google.com/dlpage/gaoptout> და დააინსტალიროს. ბრაუზერის ეს დამატებითი კომპონენტი Google Analytics-ს JavaScript-ის მეშვეობით აცნობებს, რომ დაუშვებელია ვებ-გვერდების მონახულების შესახებ ნებისმიერი მონაცემისა და ინფორმაციის Google Analytics-სთვის გადაგზავნა. ბრაუზერის დამატებითი კომპონენტის ინსტალაცია Google-ის მიერ უარის

თქმად ითვლება. თუ მონაცემთა სუბიექტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემა მოგვიანებით წაიშლება, დაფორმატდება ან ახლად დაინსტალირდება, მაშინ მონაცემთა სუბიექტმა, Google Analytics-ის გამორთვის მიზნით, ხელმეორედ უნდა დააინსტალიროს ბრაუზერის დამატებითი კომპონენტები. თუ მონაცემთა სუბიექტი ან ნებისმიერი უფლებამოსილი პირი წაშლის ან გათიშავს ბრაუზერის დამატებით კომპონენტებს, შესაძლებელია მათი ხელმეორედ ინსტალაცია ან აქტივაცია.

დამატებითი ინფორმაციისა და Google-ის მოქმედი მონაცემთა დაცვის დებულებების ნახვა შეგიძლიათ მისამართებზე: <https://www.google.com/intl/en/policies/privacy/> და <http://www.google.com/analytics/terms/us.html>. Google Analytics-ის შესახებ დამატებითი განმარტებებისთვის, იხილეთ ბმული: <https://www.google.com/analytics/>.

4. ჩვენს ვებ-გვერდზე რეგისტრაცია

მონაცემთა სუბიექტს პროკრედიტ ბანკის ვებ-გვერდზე დარეგისტრირება შეუძლია პერსონალური მონაცემების მითითებით. ჩვენ გადმოგვეცემა რეგისტრაციისთვის განკუთვნილ მონაცემთა შეყვანის ველში რეგისტრირებული პერსონალური მონაცემები. მონაცემთა სუბიექტის მიერ შეყვანილი პერსონალური მონაცემები გროვდება და ინახება მხოლოდ პროკრედიტ ბანკის მიერ შიდა გამოყენებისა და საკუთარი მიზნებისათვის. პროკრედიტ ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს პერსონალური მონაცემების ერთი ან მეტი მონაცემთა დამმუშავებლისთვის (მაგ.: ამანათების სამსახურისთვის) გადაცემა, რომელიც ასევე იყენებს პროკრედიტ ბანკთან დაკავშირებულ პერსონალურ მონაცემებს შიდა მიზნებისთვის.

პროკრედიტ ბანკის ვებ-გვერდზე რეგისტრაციით, ინახება ასევე ინტერნეტ სერვის პროვაიდერის (ISP) მიერ მინიჭებული და მონაცემთა სუბიექტის მიერ გამოყენებული IP მისამართი და რეგისტრაციის თარიღი და დრო. ამ მონაცემთა შენახვას მხოლოდ ის გამართლება აქვს, რომ ეს არის ერთადერთი გზა ჩვენი მომსახურებების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად და, საჭიროების შემთხვევაში, ჩადენილი დანაშაულებების გამოსაძიებლად. ჯერჯერობით, ამ მონაცემების შენახვა აუცილებელია პროკრედიტ ბანკის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეს მონაცემები მესამე პირს არ გადაეცემა, თუ არ არსებობს მონაცემების გადაცემის კანონით გათვალისწინებული ვალდებულება, ან თუ მონაცემების გადაცემა სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანს ემსახურება.

მონაცემთა სუბიექტის რეგისტრაცია, პერსონალური მონაცემების ნებაყოფლობითი მითითებით, პროკრედიტ ბანკს შესაძლებლობას აძლევს მონაცემთა სუბიექტს შესთავაზოს ისეთი შინაარსი ან მომსახურები, რომელიც შეიძლება მხოლოდ რეგისტრირებულ მომხმარებლებს შესთავაზონ, საკითხის თავისებურებიდან გამომდინარე. რეგისტრირებულ პირებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს შეცვალონ რეგისტრაციის დროს მითითებული პერსონალური მონაცემები ან მთლიანად წაშალონ პროკრედიტ ბანკის მონაცემებიდან.

პროკრედიტ ბანკი ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში ნებისმიერ დროს, თითოეულ მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა პერსონალური მონაცემები ინახება მის შესახებ. ამასთანავე, პროკრედიტ ბანკი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის ან მითითების საფუძველზე, შეასწოროს ან წაშალოს პერსონალური მონაცემები, რამდენადაც არ არსებობს კანონით გათვალისწინებული შენახვის ვალდებულებები. ამ

საკითხთან დაკავშირებით მონაცემთა სუბიექტებს შეუძლიათ შემდეგ პირებს მიმართონ: მაკა ბოჭორიშვილი, maka.bochorishvili@procreditbank.ge; ნატალია დარახველიძე, n.darakhvelidze@procreditbank.ge.

5. ვებ-გვერდით კონტაქტის შესაძლებლობა

პროკრედიტ ბანკის ვებ-გვერდი შეიცავს ინფორმაციას, რომელიც ჩვენს კომპანიასთან სწრაფი ელექტრონული კონტაქტის და ჩვენთან პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა. ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია ელექტრონული ფოსტის ზოგადი მისამართი (ელ-ფოსტის მისამართი). თუ მონაცემთა სუბიექტი პროკრედიტ ბანკს ელექტრონული ფოსტის ან საკონტაქტო ფორმის საშუალებით დაუკავშირდება, მონაცემთა სუბიექტის მიერ გადაცემული პერსონალური მონაცემები ავტომატურად ინახება. მონაცემთა სუბიექტის მიერ პროკრედიტ ბანკისთვის ნებაყოფლობით გადაცემული ეს პერსონალური მონაცემები ინახება მონაცემთა დამუშავების ან მონაცემთა სუბიექტთან დაკავშირების მიზნით. ეს პერსონალური მონაცემები მესამე პირებს არ გადაეცემა.